საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 16 2019 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, მოსახლეობაში წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით, დამტკიცდეს საქართველოს მასშტაბით გასატარებელი ღონისძიებები.

2. ამ განკარგულების შესრულების მიზნით:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა:

ა.ა) მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გააძლიერონ მეთვალყურეობა წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე, გასაკუთრებით იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არსებობს დაავადების გავრცელების მაღალი რისკი (ქალაქები: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, თელავი, რუსთავი, ზუგდიდი) და რეგულარულად განიხილონ აღნიშნული საკითხი სხდომებზე;

ა.ბ) განახორციელონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრებისა (შემდგომში – სჯდ ცენტრი) და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე იმუნიზაციის სერვისის მიმწოდებელი იურიდიული პირების მხარდაჭერა და მატერიალურ-ტექნიკური დახმარება, სჯდ ცენტრების სპეციალისტთა მიერ წითელას კერების (ოჯახი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები/დასაქმების ადგილი და სხვა) შესწავლისა და კონტაქტირებულთა მართვის (აღრიცხვა, პროფილაქტიკური იმუნიზაცია) უზრუნველსაყოფად;

ა.გ) უზრუნველყონ ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობა;

ბ) დაევალოთ:

ბ.ა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს:

ბ.ა.ა) აღნიშნული პროცესისათვის ხელშეწყობის მიზნით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არასრულად აცრილი ან აუცრელი პირების გამოვლენა და ინფორმაციის მიწოდება სჯდ ცენტრებისათვის;

ბ.ა.ბ) ინფორმაციის მიწოდებიდან ორი თვის ვადაში ბენეფიციარების მხრიდან აცრის დამადასტურებელი ცნობის წარუდგენლობის შემთხვევაში, განიხილონ სტატუსის შეჩერების საკითხი;

ბ.ბ) სამედიცინო დაწესებულებებს აცრის სტატუსის თაობაზე ინფორმაციის წერილობითი ფორმით (მ.შ. სამედიცინო დოკუმენტის სახით) უსასყიდლოდ გაცემა;

ბ.გ) მუნიციპალურ სჯდ ცენტრებს:

ბ.გ.ა) სამიზნე ასაცრელი კონტინგენტის გამოვლენა, აცრის ინდივიდუალური სქემის განსაზღვრა და სავალდებული აცრების პროცესის

ორგანიზება მათ სამოქმედო ტერიტორიაზე, განურჩევლად დაწესებულების სამართლებრივი ფორმისა;

ბ.გ.ბ) უზრუნველყონ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოვლენილი არასრულად აცრილი ან აუცრელი პირების მშობლის/სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, ორგანიზებული ჯგუფების ჩამოყალიბება სამედიცინო დაწესებულებაში გადასაყვანად ან სამედიცინო დაწესებულებების მიერ ჩამოყალიბებული გამსვლელი ამცრელი ბრიგადების მეშვეობით წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაცია;

ბ.გ.გ) ეპიდზედამხედველობის გაძლიერება გამონაყარითა და ცხელებით მიმდინარე დაავადებებზე;

ბ.დ) სახელმწიფო რწმუნებულებს ამ განკარგულების შესრულების ზედამხედველობა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე.

3. წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) არაგეგმური იმუნოპროფილაქტიკა წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინით, მათ შორის:

ა.ა) 1 წლიდან 19 წლამდე არასრულად აცრილი ან აუცრელი პირების წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინით ვაქცინაცია, იმუნიზაციის სტატუსის გათვალისწინებით;

ა.ბ) 19 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ვაქცინაცია წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით, იმუნიზაციის სტატუსის მიუხედავად;

ა.გ) სამედიცინო პერსონალის ვაქცინაცია წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით, დადგენილი წესის შესაბამისად;

ა.დ) ჩატარებული აცრების დარეგისტრირება იმუნიზაციის მართვის ელექტრონულ მოდულში და ანგარიშგება მუნიციპალურ სჯდ ცენტრებში;

ა.ე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტინგენტის ორგანიზებული ვაქცინაცია წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით, დადგენილი წესის შესაბამისად;

ა.ვ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში მოთავსებული პირებისა და მომუშავე პერსონალის ვაქცინაცია წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით, დადგენილი წესის შესაბამისად;

ა.ზ) სხვა კონტინგენტის წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაცია, რომელსაც, არსებული ეპიდსიტუაციის ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, დადგენილი წესის შესაბამისად.

4. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება:

ა) „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით გეგმური ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის მათთან აღრიცხული ბენეფიციარების წითელაზე აცრის სტატუსის აღრიცხვის, იმუნიზაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისა და აღნიშნული ბენეფიციარების წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაციის მიზნით;

ბ) „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის – „სოფლის ექიმის“ მიმწოდებელი ფიზიკური პირებისათვის, მათთან აღრიცხული ბენეფიციარების წითელაზე აცრის სტატუსის აღრიცხვის, იმუნიზაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისა და აღნიშნული ბენეფიციარების წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაციის მიზნით.

5. ამ განკარგულებით განსაზღვრული ასაცრელი კონტინგენტის გარდა, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ნებისმიერი პირის, მიუხედავად მისი ასაკისა, წითელას კომპონენტის შემცველი ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაცია, დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ამ განკარგულებით გათვალისწინებულ პირთა ვაქცინით უზრუნველყოფა განხორციელდეს „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის – „იმუნიზაციის“ (პროგრამული კოდი: 27 03 02 02) მე-9 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**